  10. Buitrago-Molina LE, Vogel A. mTor as a potential target for the prevention and treatment of hepatocellular carcinoma. *Curr Cancer Drug Targets.* 2012;12:1045–61.
  11. Burchard J, Zhang C, Liu AM, et al. microRNA-122 as a regulator of mitochondrial metabolic gene network in hepatocellular carcinoma. *Mol Syst Biol.* 2010;6:1–12.
  12. Carethers JM, Braun J, Sands BE. Genetics, genetic testing, and biomarkers of digestive diseases. *Gastroenterology.* 2015;149:1131–3.
  13. Cervello M, McCubrey JA, Cusimano A, et al. Targeted therapy for hepatocellular carcinoma: novel agents on the horizon. *Oncotarget.* 2012;3:236–60.
  14. Chen LP, Li C, Wen TF, et al. Can living donor liver transplantation offer similar outcomes to deceased donor liver transplantation using expanded selection criteria for hepatocellular carcinoma? *Pak J Med Sci.* 2015;31:763–9.
  15. Cheng J, Wang W, Sun C, et al. Meta-analysis of the prognostic and diagnostic significance of serum/plasma osteopontin in hepatocellular carcinoma. *J Clin Gastroenterol.* 2014;48:806–14.
  16. Chimparlee N, Chuaypen N, Khlaiphuengsin A, et al. Diagnostic and prognostic roles of serum osteopontin and osteopontin promoter polymorphisms in hepatitis B-related hepatocellular carcinoma. *Asian Pac J Cancer Prev.* 2015;16:7211–7.
  17. Clavien PA, Lesurtel M, Bossuyt PM, et al. Recommendations for liver transplantation for hepatocellular carcinoma:an international consensus conference report. *Lancet Oncol.* 2012;13:e11–22.
  18. Dargel C, Stemberg B, Hasreiter J, et al. T Cells engineered to express a T-cell receptor specific for Glypican-3 to recognize and kill Hepatoma cells in vitro and in mice. *Gastroenterol.* 2015;149:1042–52.
  19. De Lope CR, Tremosini S, Forner A, Reig M, Bruix J. Management of HCC. *J Hepato.* 2012;56:75–87.
  20. Dong Q, Zhu X, Dai C, et al. Osteopontin promotes epithelial-mesenchymal transition of hepatocellular carcinoma through regulating vimentin. *Oncotarget.* 2016;7:12997–13012.
  21. Eagon P. Alcoholic liver injury:Influence of gender and hormones. *World J Gastroenterol.* 2010;16:1377–84.
  22. Elmashad N, Ibrahim WS, Mayah WW, et al. Predictive value of serum insulin-like growth factor-1 in hepatocellular carcinoma. *Asian Pac J Cancer Prev.* 2015;16:613–9.
  23. El-Serag HB. Epidemiology of viral hepatitis and hepatocellular carcinoma. *Gastroenterology.* 2012;142:1264–73.
  24. European Association for the Study of the liver. European organization for research and treatment of cancer. EASL-EORTC clinical practice guidelines:management of hepatocellular carcinoma. *J Hepatol.* 2012;56:908
  25. Antibodies:a new therapeutic target for liver cancer. *FEBS Lett.* 2014;588:377–82.
  26. Ferlay J, Soerjomataram I, Dikshit R, et al. Cancer incidence and mortality worldwide:Sources, methods and major patterns in GLOBOCAN 2012. *Int J Cancer.* 2015;136:359–86.
  27. Fish JE, Srivastava D. MicroRNAs:opening a new vein in angiogenesis research. *Sci Signal.* 2009;2:1–7.
  28. Forner A, Gilibert M, Bruix J, Raoul JL. Treatment of intermediate-stage hepatocellular carcinoma. *Nat Rev Clin Oncol.* 2014;11:525–35.
  29. Ge YY, Shi Q, Zheng ZY, et al. MicroRNA-100 promotes the autophagy of hepatocellular carcinoma cells by inhibiting the expression of mTOR and IGF-1R. *Oncotarget.* 2014;5:6218–28.
  30. Gomes MA, Priolli DG, Tralhao JG, Botelho MF. Hepatocellular carcinoma:epidemiology, biology, diagnosis, and therapies. *Rev Assoc Med Bras.* 2013;59:51424.

## MODERN RADIOLOGICAL METHODS OF DIAGNOSIS OF HEPATOCELLULAR CARCINOMA

Vakhtang Sheliya<sup>1</sup>, Othar Urushadze<sup>2</sup>, Grigol Nemsadze<sup>2</sup>

<sup>1</sup>Academician O. Gudushauri National Medical Center, <sup>2</sup>Tbilisi State Medical University

Contact person: Vakhtang Sheliya, sheliyavakhtang@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2022.10.48-51>

### Resume

The article analyzes the complex radiological approach to hepatocellular cancer. In particular, at the first stage, an ultrasound study allows to assume of the presence of hepatocellular cancer, and in some cases to determine the final diagnosis. By analyzing the results of high-tech radiological studies, it is possible to confirm the detection of the malignant process and determine its boundaries, and the relationship with blood vessels and bile ducts. This information is crucial in determining the optimal tactics of operative intervention and reducing the risks of possible postoperative complications. In controversial and uncertain clinical cases, the last stage of research in the diagnostic process should be a transcutaneous biopsy of the suspicious area.

**Key words:** Hepatocellular carcinoma, diagnosis, complex radiological approach



# იუბილე

## პროფესორი ბორის ჩაკვეტაძე

გრ. მუხაძის  
საქართველოს  
ქირურგთა ასოციაცია  
და „გურამ ტატიშვილის  
საქართველოს ქირურგიის  
მაცნეს“ რედაქცია  
ულოცავს დეაწლმოსილ  
ქირურგს 70 წლის  
იუბილეს.



### ავტობიოგრაფია

დავიბადე 1952 წლის 14 აგვისტოს ქ. ქუთაისში. დედა - ქეთევან თვარაძე, პროფესიით ფარმაცევტი, მამა - ნოდარ ჩაკვეტაძე, აკ. წერეთლის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მამა გარდაიცვალა ძალიან ადრე, 51 წლის ასაკში და მთელი ტვირთი ოჯახზე დააწვა დედას ქეთო თვარაძეს, რომელმაც იცოცხლა 96 წლის ასაკამდე. დედამ შეძლო, ორივე შვილისთვის, ორი ძმისთვის, მიეცა იმ დროისათვის საუკეთესო სამედიცინო განათლება - ორთავემ, მე (ბორისი) და უმცროსმა ძმამ ლევანმა დავამთავრეთ მოსკოვის სერენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი.

1969 წელს წარჩინებით დავამთავრე ქ. ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავაბარე მოსკოვის ი. სერენოვის სახელობის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1975 წელს, სპეციალობით სამკურნალო საქმე. 1975-1977წწ ვიყავი ამავე ინსტიტუტის, ზოგად ქირურგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი. კათედრას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი და ქართველებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, პროფ. ან. შაბანოვი. მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა ჩამი, როგორც ქირურგის ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება. ამავე კათედრაზე მოღვაწეობდა პროფესორი კონსტანტინე

(კოტე) მიქელაძე. მან უდიდესი როლი ითამაშა ჩემი როგორც ქირურგის და მეცნიერის ჩამოყალიბებაში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქირურგიაში იყო ჩემი მასწავლებელი. კლინიკურ ორდინატურაში სწავლის დროს დამიმტკიცდა თემა და კლინიკის მასალა, რაც შემდგომში გახდა ჩემი სადისერტაციო თემა. 1981 წელს წარჩინებით დავიცავი სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „მსხვილი ნაწლავის კიბოს გართულებული ფორმების სასწრაფო ქირურგიული მკურნალობა“ - მომენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

1981 წელს დაგვრუნდი ქ. ქუთაისში და გავაგრძელე მუშაობა ჯერ ქირურგ-ონკოლოგად, ქუთაისის რეგიონულ ონკოდისპანსერში, შემდეგ ავტოქარხნის მონ-ში ქირურგ-ორდინატორად და ქირურგიული განყოფილების გამგედ.

მქონდა ბედნიერება, მემუშავა ისეთ ცნობილ ექიმებთან, როგორებიც იყვნენ ბატონი ოთარი ჩხოზაძე და ბენიამინ მამრიკიშვილი. თითქმის 30 წელი ვხელმძღვანელობდი მაღალი ტრადიციების მატარებელ ქირურგიულ განყოფილებას, სადაც მუშაობდნენ გამოჩენილი ქართველი ქირურგები: პროფ. ა. ბეთანელი, მ. გოზალიშვილი, ბ. მამრიკიშვილი, თ. კუხალაშვილი და ბევრი სხვა.

1981 წელს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მივლინებით გავიარე სტაჟირება ა. ვინსენსკის სახ. ქირურგიის ინსტიტუტის აბდომინური ქირურგიის განყოფილებაში (ქ. მოსკოვი), ვ. პომელოვის და ა. დანილოვის ხელმძღვანელობით. დავეფუძლე მუცლის ღრუში რთულ ოპერაციებს, მათ შორის რეკონსტრუქციულს.

1981-1994 წწ გავაგრძელე მუშაობა ქ. ქუთაისში ქირურგიული განყოფილების გამგედ. იმ პერიოდში ავტოქარხნის მედსანაწილი რეგიონის ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებად ითვლებოდა და ქირურგიული განყოფილება გამოირჩეოდა თავისი აქტივობით, მაღალპროფესიული კადრებით, საუკეთესო შედეგებით.

1994-1997 წწ ჩავაბარე ასპირატურაში, მოსკოვის ი. სერჩოვის სახ. სამედიცინო აკადემიაში, ნ. ელანსკის სახ. ფაკულტეტური ქირურგიის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ნ. მ. კუზინი, ხოლო შემდეგ ჩვენი თანამემამულე, სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი ს. ა. დადვანი. დამიმტკიცდა სადოქტორო დისერტაციის თემა: „პათოლოგიური სიმსუქნის ქირურგიული მკურნალობა მცირე კუჭის ფორმირებით“, რომელიც დავიცავი 2021 წელს ქ. თბილისში (ხელმძღვანელები: პროფ. ნ. კუზინი, პროფ. გ. ტატიშვილი).

თავს ვთვლი ვალდებული ვარ, განსაკუთრებული მადლიერებით და სიყვარულით მოვიხსენიო ბატონი გურამი ტატიშვილი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩემს ჩამოყალიბებაში არა როგორც ქირურგის, არამედ მეცნიერის და ადამიანის. ჩვენს შორი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ბატონი გურამი იყო ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი, უფროსი ადამიანი, რომელმაც გადამჭრელი როლი ითამაშა მთელ ჩემს ცხოვრებაში. აგრეთვე, თავს ვალდებული ვთვლი მოვიხსენიო დიდი კაცი და ჯანდაცვის ორგანიზატორი, მეცნიერი, ახალგაზრდა ქირურგების აღმზრდელი, აკადემიკოსი გურამ ტატიშვილი, რომელმაც მეორე სიცოცხლე მისცა და აღადგინა საქართველოს გრ. მუხაძის ქირურგიული

საზოგადოება, დაარსა ჟურნალი „საქართველოს ქირურგიის მაცნე“. ღმერთმა გაანათლოს მისი სული, დალოცოს მისი დიდი ოჯახი. მადლობა ბატონ გურამს, რომ თავი მოგვიყარა, შეგვიყვარა და დაგვამეგობრა გია თომაძეს, თამაზ ჩხიკვაძეს, მერაბ კილაძეს, გია დათუაშვილს, ნოდარ ლომიძეს და, სამწუხაროდ აწ გარდაცვლილ, გამოჩენილ ქირურგს ბაადურ მოსიძეს.

მე, არა მაქვს უფლება, განსაკუთრებულად არ მოვიხსენიო ჩემი მეგობარი, თანაკურსელი, რუსეთის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი ს. ა. დადვანი. აგრეთვე, ჩვენი თანამოქალაქეები, ჩემი ბავშვობის მეგობრები, ცნობილი მეცნიერები: ნეიროქირურგი შალვა ელიავა და იური ბუზიაშვილი, პროფ. მალხაზ რამიშვილი და ა. შულუდკო, პროფესორი ბორის მისლოვატი. მადლობა, ჩემო მეგობრებო, გვერდით დგომისთვის, მხარდაჭრისთვის და იმედისთვის, ერთად გატარებული წლებისთვის.

განსაკუთრებულად მინდა მივსალამო და დიდი პატივისცემით აღვნიშნო ჩემი კოლეგები, ქუთაისში მოღვაწე ცნობილი ქირურგები, პროფესორები ომარ ლიბრაძე და ბადრი ალფაიძე, რომლებთან მაკავშირებს თითქმის 40 წლიანი ურთიერთობა და გვერდში დგომა.

ბატონ ს. დადვანის შუამდგომლობით და რეკონდაციით 1997-1998 წლებში გავიარე სტაჟირება აშშ ქ. ინდიანას სახ. საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც მომეცა საშუალება მენახა თანამედროვე ქირურგიის მიღწევები.

2002 წელს დავაფუძნეთ წმ. ნიკოლოზის სახ. ქირურგიული და ონკოლოგიური ცენტრი, რომელსაც სამედიცინო კუთხით ხელმძღვანელობდი 2021 წლამდე, კომპანია „ევექსთან“ და ნ. გამყრელიძესთან ერთად

აქტიური ქირურგიული მუშაობის სტაჟი მაქვს თითქმის 47 წელი და ამ პერიოდში ჩემს მიერ ჩატარებულია 1400-მდე ოპერაცია. მადლობა ჩემს უმცროს კოლეგებს - ქირურგებს, ანესთეზიოლოგებს: ა. მუკაბანიანს, ი. ლალიძეს, დ. ფესტგენიძეს, დ. მენაბდეს, ი. ჩოგოვაძეს, ა. კოპალიანს, პ. ნესმიწვერიძეს, ა. სანდუხაძეს, ნ. ჩხოზაძეს და სხვებს, რომელთან ერთად მოხერხდა ამ რთული გზის გავლა. გვქონდა ბევრი სირთულეებიც, მაგრამ ერთიანი ძალისხმევით და გვერდში დგომით ვუმკლავდებოდით ბევრ პრობლემას. დიდი მადლობა ყველას!

ჩემი ცხოვრების ნათელი წერტილს წარმოადგენს თითქმის 18 წლიანი საქმიანობა და მოღვაწეობა ავ. წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მადლობა რექტორს ბატონ რ. კოპალიანს, პრორექტორს შ. კირთაძეს, სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს ი. ფხაკაძეს.

მადლობა პროფესორებს გ. ონიანს და ზ. სოხაძეს უნივერსიტეტში მოწვევისათვის და მხარდაჭერისათვის. დიდი სიყვარული, უდიდესი მხარდაჭერა და სიყვარული მქონდა ჩემი ოჯახიდან, მადლობა ყველას. ბედნიერი ვარ, რომ ვართ ერთად მომავლის იმედით.

მადლობა ყველას!

*პროფესორი ბორის ჩაკვეტაძე*

## ქირურგის როლი ქირურგიაში — ქირურგის ხელები

პროფესორი ბორის ჩაკვეტაძე

ქირურგია ბერძნული სიტყვაა, სადაც „ქირ“ არის ხელი, ხოლო „ერგონ“ ნიშნავს მოქმედებას ან ხელმოქმედებას. ქართულად მას შეესაბამება დასტაქარი ან ჯარა ექიმი (სამხედრო ექიმი). მაგრამ ეს არის ისტორიულად მოძველებული შინაარსი, რომელმაც დღეს დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან ქირურგია არის მეცნიერება და შეიძლება შევადაროთ ხელოვნებას.

თუ დავუბრუნდებით ისტორიას დავრწმუნდებით, რომ ქირურგია არის მედიცინის ერთ-ერთი უძველესი მიმართულება, რომელიც ჩაისახა მიწაზე პირველი ადამიანების გამოჩენასთან ერთად. საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი ქირურგი იყო მაქაონი, ასკლეპიონის შვილი, აპოლონის შვილიშვილი. მაქაონი ბრძოლის დროს ბერძნებს უწევდა ქირურგიულ დახმარებას, მაგრამ ქირურგიის ფუძემდებლად ითვლება ფრანგი ქირურგი ამბრუაზ პარე (1510-1590).

სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბებამდე მან განვლო რამდენიმე ეტაპი:

I - ემპირიზმის პერიოდი, როდესაც ქირურგი ეყრდნობოდა მხოლოდ ავადმყოფზე პირად დაკვირვებას და საკუთარ გამოცდილებას;

II - ანატომიური მიმართულების პერიოდი, რომელიც იწყება შუა საუკუნეებიდან და გრძელდება XIX საუკუნემდე.

III - ეს პერიოდი იწყება XIX საუკუნიდან, მისი მეორე ნახევრიდან, როდესაც იწერება ასეპტიკა, ანტისეტიკა, ნარკოზი, რამაც დიდი ბიძგი მისცა ქირურგიის განვითარებას.

ამ პერიოდში ევროპაში იხსნება უნივერსიტეტები: ბოლონიაში (1158წ), ოქსფორდში (1096წ), კემბრიჯში (1209წ), მიუნხენში (1472წ), სადაც მეცნიერების სხვა მიმართულებებთან ერთად ისწავლებოდა მედიცინის საფუძვლებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ქირურგიის აღორძინება იწყება XV საუკუნიდან, ხოლო მისი სწრაფი განვითარება - XIX საუკუნიდან.

ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: ანატომი ანდრეას ვეზალიუსი (1514-1564წ), ქირურგები პარაცელსუსი (1493-1541წ) და ამბრუაზ პარე (1510-1590წ), ნატურალისტი ენტონი ვან ლევენჰუკი (1632-1723წ). ვან ლევენჰუკი გახლდათ სამეცნიერო მიკროსკოპიის ფუძემდებელი, მიკროსკოპების კონსტრუქტორი.

საართველოში ოდითგან არსებობდა მეცნიერული და სასწავლო ცენტრები, რომელთაც მოიპოვეს საყოველთაო აღიარება: გელათი, იყალთო. მედიცინის განვითარება არ ჩამორჩებოდა კულტურისა და მეცნიერების განვითარებას.

IX-X საუკუნეებში საქართველოში იწერებოდა ტრაქტატები ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, რომლებიც

შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის მედიცინის მეცნიერების ნიმუშად.

XI-XIII საუკუნეებში შეიქმნა „უსწორო კარაბადინი“, „წიგნი საექიმო“, სადაც გამოტანილია არა მარტო ანატომიის და ფიზიოლოგიის ფართო მონაცემები, არამედ აღწერილია ცალკეული დაავადებები და ქირურგიული ჩარევის მრავალი მეთოდი.

ზაზა ფანასკენტელ-ციციშვილი (1438-1500წ) იმ ღირსეულ შვილთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია, რომლის სახელიც სამარადისოდ შემორჩა ხალხის ხსოვნას, როგორც მოაზროვნის და ექიმის, საზოგადო და სახელწიფო მოღვაწის. ექვსი საუკუნის წინ მისი დაწერილი „სამკურნალო წიგნი - კარაბადინი“ გვაოცებს თემატიკის სიღრმით, ბრწყინვალე სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნებით. მას „დიდ მკურნალს და ბრძენთა ბრძენს“ უწოდებდნენ.

ფრანგმა ქირურგმა პიერ დიონისმა (1643-1718წ) პირველმა შექმნა ოპერაციული ქირურგიის კურსი, ხოლო 1731 წელს პარიზში პირველად გაიხსნა ფრანგული ქირურგიული აკადემია.

XIX საუკუნეში სამეცნიერო ქირურგიაში გაკეთდა ნახტომი, რასაც ხელი შეუწყო ისეთი ქირურგების მოღვაწეობამ, როგორებიც იყვნენ: ო.ნელატონი, ჟ.ე.პეანი, ა.ლამბერი, თ.ბილროთი, ნ.პიროგოვი და სხვ.

ეს პროცესი არ შეჩერებულა და გრძელდება დღესაც. მყარად ჩამოყალიბდა აზრი, რომ ქირურგი უნდა ფლობდეს არა მხოლოდ ოპერაციების გაკეთების ხელოვნებას, მან საფუძვლიანად უნდა იცოდეს ანატომია, ფიზიოლოგია, ფარმაცოლოგია, ბიოქიმია, კლინიკური დისიპლინები; ქირურგმა უნდა შეძლოს სწორი დიაგნოზის დასმა, განსაზღვროს მკურნალობის ტაქტიკა, ფლობდეს ოპერაციის ტექნიკას და ერეკვეოდეს ოპერაციის დროს მოსალოდნელ ყველა რთულ ვითარებაში. აგრეთვე, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს პიროვნული თანდაყოლილი თვისებები, ქირურგიული ეთიკა.

ექიმის, ქირურგის ეთიკა - არის სამედიცინო მუშაკის ქცევის და მორალის პრინციპები. ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯერემი ბენტამმა (1748-1832), ტერმინით „დეონტოლოგია“, საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებას, რომელიც ეხება ნებისმიერი პროფესიის ადამიანების ქცევას. ყველა პროფესია აქვს თავისი დეონტოლოგიური (ქცევის) ნორმები. აქედან გამომდინარე, ქირურგიული დეონტოლოგია არის ექიმისა და სამედიცინო პერსონალის ქცევის ნორმები ავადმყოფის მიმართ. ექიმის ყველა მოქმედება მიმართული უნდა იყოს და ემსახურებოდეს მხოლოდ ერთ მიზანს - ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სამედიცინო მუშაკი, მით უმეტეს ქირურგი ავადმყოფთან მიმართებაში ვალდებულია, იყოს კორექტული, ყურადღებიანი. ამასთან ერთად, ის არის უმაღლესი

კვალიფიკაციის სპეციალისტი: განათლებული, მრავალმხრივ განვითარებული. ავადმყოფს დელიკატურად უხსნის არსებულ მდგომარეობას, გამოსავალს, მოსალოდნელ გართულებებს.

დეონტოლოგია, აგრეთვე, გულისხმობს გეგმიური საიდუმლოს შენახვას. რიგ შემთხვევაში ექიმს უწევს, დაუმალოს პაციენტს მისი ნამდვილი დაავადება, მაგალითად - კიბო. ეს ეხება არა მხოლოდ ექიმს, არამედ ყველა სამედიცინო მუშაკს. ასეთი წესია: „სიტყვა კურნავს, მაგრამ მას შეუძლია, „დაასახიროს“. ოღონდ ექიმი ვალდებულია, ავადმყოფის ახლობლებს გააცნოს ნამდვილი დიაგნოზი და პროგნოზი.

კოლეგებთან ურთიერთობა არის დეონტოლოგიის განუყოფელი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ქირურგიულ განყოფილებაში და სტაციონარში მუშაობა უნდა ექვემდებარედეს მკაცრ დისციპლინას. დაცული იყოს სუბორდინაცია ანუ უმცროსის თანამდებობით დაქვემდებარება უფროსზე. კოლეგის კრიტიკა ავადმყოფთან არის მიუღებელი და ყოვლად დაუშვებელი. ქირურგია, როგორც მედიცინა სხვა სამედიცინო სპეციალობები, არის კოლეგიური, ქირურგი უნდა იღებდეს რჩევებს უფროსისგან თუ უმცროსისგან.

ოდითგან ქირურგის ძირითად საქმედ ითვლებოდა ხელებით მუშაობა, ამიტომ ქირურგის ხელებს სულ ექცეოდა ძალიან დიდი ყურადღება. ხელების ანატომიური აღნაგობა და ფიზიოლოგიური მონაცემები შეიცავენ თავისებურებებს, რომლებიც მათ განასხვავებს სხეულის სხვა ნაწილებისაგან. თითების ზუსტი მოძრაობები დამოკიდებულია თავის ტვინის ქერქსა და მოტონეირონებს შორის კავშირზე. მტევნის კუნთები მიეკუთვნებიან მაღალდიფერენცირებულ წარმონაქმნებს. მტევანზე, განსაკუთრებით თითებზე კონცენტრირებულია მგრძობიარე ნაწილები და სპეციფიკური ადგილები.

მტევნის ძვლების, თითების ანატომიური და ფუნქციური თავისებურებები უზრუნველყოფენ ქირურგების ეფექტურ და სასარგებლო მუშაობას. ოპერაციული ჩარევის ტექნიკას, ძირითადად, განაპირობებს ქირურგის ხელებით მიზანმიმართულად მუშაობის უნარი. გამოჩენილი ქირურგი ს.იუდინი წერდა: "ქირურგიულ კლინიკაში ქირურგიული ტექნიკა არის მკურნალობის განუყოფელი, ძირითადი და უმთავრესი ნაწილი".

ჰიპოკრატე თვლიდა, რომ ექიმს ავადმყოფის გასასინჯად, სამკურნალოდ, შესაბამისად ესაჭიროება ხელების და თითების მოქნილი მოძრაობა. განთქმული ქირურგები გამოირჩეოდნენ ქირურგიული ჩარევის მაღალი ტექნიკით, რომელიც მიიღწეოდა კარგად გავარჯიშებული ხელებით. ამიტომ ქირურგმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს ანატომია და მუდმივად ვარჯიშობდეს. გამორჩეული ქართველი ქირურგი ი.ჯანელიძე ოპერაციებს ძალიან სწრაფად და ტექნიკურად აკეთებდა. პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად. მას ამის საშუალებას აძლევდა ანატომიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

საქართველოს ქირურგიის ორი გიგანტი, ეგნატე ფიფია და მიხეილ ჩაჩავა, აღიარებულნი იყვნენ, როგორც შეუდარებელი ოპერატორები და გამოირჩეოდნენ ტექნიკით, მათი ხელების მოძრაობები იყო ლამაზი, ვირტუოზული და დახვეწილი.

აკადემიკოსი ფ.გ.უგულოვი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ნ.ნ.პეტროვის ხელმძღვანელობით, იხსენებს: „ოპერაციებსას, რომლებსაც ატარებდა ნ.ნ. პეტროვი, განცვიფრებას იწვევდა ქირურგის ხელების მოძრაობის სილამაზე, სიმტკიცე, ფაქიზი მოფერება ადამიანის ქსოვილებთან. ის თითებით იღებდა თითოეულ ორგანოს ისე, თითქოს ისინი დამზადებული იყვნენ ძვირფასი მასალისაგან“.

პ.ა. გერცენი თვლიდა, რომ „ქირურგისთვის ყველაზე კარგი ინსტრუმენტი არის თითები“. ის ახერხებდა უმოკლეს დროში გაეჩერებინა სისხლდენა ღრმად მდებარე არტერიიდან და ხშირად იმეორებდა: „ქირურგს არ უნდა ეშინოდეს“. მის ხელში სკალპელი დიდი მოქანდაკის საჭრეთელს ემსგავსებოდა. ანატომია იცოდა ისე, როგორც არავინ ქირურგებიდან“. ისტორიული წყაროები და უამრავი ქირურგის მოგონებები საშუალებას გვაძლევს ვალიაროთ, რომ გამოჩენილი ქირურგები დიონისი, ნელატონი, ჰვანი, ბილროთი, პიროგოვი გამოირჩეოდნენ ვირტუოზული ტექნიკით, განცვიფრებას იწვევდა მათი ხელების და თითების მოძრაობა.

ქირურგები, რომლებსაც უნახავთ როგორ მუშაობდა ს.ს იუდინი, განცვიფრებული იყვნენ მისი ვირტუოზული ტექნიკით. რა თქმა უნდა, ს.ს იუდინი იყო გამორჩეული პიროვნება, თავისებური ხასიათით, გატაცებებით, ქცევის მანერით. როგორც მისი მოწაფეები აღნიშნავდნენ, ეს იყო ქირურგი ვირტუოზი, რომელსაც თავის დარგში ბადალი არა ჰყავდა. მსოფლიოს უდიდესი ქირურგები აღნიშნავდნენ მისი ხელების და სხეულის მოძრაობებს და სიმარტივეს, როგორ ატარებდა იგი ურთულეს ქირურგიულ ოპერაციებს. გამოცდილი ქირურგის მოძრაობა არის მოზომილი, მანიპულაციები სრულდება ზუსტად, დამუშავებულია და საბოლოოდ იძლევა სასურველ შედეგს. ყველა ზემოთ აღნიშნული თვისება და უნარი მიუღწევადია, თუ ქირურგს თავიდანვე არა აქვს მოწოდება და ის თვისებები, რომელიც მხოლოდ ამ მძიმე და რთული სპეციალობისთვის არის დამახასიათებელი და აუცილებელი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კლინიკურ ორდინატურასა და ასპირანტურაში, მე მქონდა ბედნიერება, მემუშავა ისეთ გამოჩენილ მეცნიერთან და ქირურგებთან, როგორებიც იყვნენ მ.ი.კუზინი, ლ.ვ.უსპენსკი, ვ.ვ.პომელო, ა.ნ.შაბანოვი, ვ.გ.რაბტაევი. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ჩვენი თანამემამულე, რსა-ს წევრ კორესპოდენტი, მოსკოვის მ.მ.სეჩენოვის სახ. სამედიცინო აკადემიის პრორექტორი, ფაკულტეტური ქირურგიის კათედრის გამგე, პროფესორი ს.ა.დადვანი. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო ჩვეულებრივი რიგითი ქირურგიდან და თავდადებით, შრომით მიაღწია უდიდეს მწვერვალს, იყო თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, წესიერი ადამიანი, მრავალ თავის თანამემამულეს დაეხმარა და გაუხსნა გზა ქირურგიაში, ძალიან ადრე დაგვარგეთ ეს უდიდესი ადამიანი, დიდი ქირურგი და მეცნიერი, რომელსაც შეეძლო, კიდევ ბევრი სიკეთე გაეკეთებინა. ცნობილმა ქირურგმა, ჩემმა მასწავლებელმა, პროფესორმა კ.დ.მიქელაძემ, განვლო ძალიან საინტერესო ცხოვრების გზა. იყო გამოჩენილი ქირურგის და მეცნიერის ბ.ს.როზანოვის მოსწავლე. წლების მანძილზე მოღვაწეობდა მოსკოვში - ბოტკინის,

ხოლო ბოლო წლებში - ეკატერინეს სახ. საავადმყოფოში. ყველა, ვისაც მასთან ჰქონდა ურთიერთობა, დამეთანხმება იმაში, რომ ბატონი კოტე არის ბრწყინვალე ქირურგი, დიდი პიროვნება, რაფინირებული ინტელიგენტი და ხელოვნების მოტრფიალე. მან შემაყვარა ქირურგია, ხელოვნება, კლასიკური მუსიკა, იყო გამორჩენილი მომღერლების - დ.გამრეკლის და ზ.ანჯაფარიძის უახლოესი მეგობარი.

არასოდეს დამავიწყდება შემთხვევა მოსკოვში, ძველ ეკატერინეს საავადმყოფოში: ოპერაციას ატარებდა შესანიშნავი ქირურგი. ი.ა.ფოფანოვი. ოპერეტორი შეიქნა ცუდად, განუვითარდა მარცხენამხრივი ჰემიპარეზი ანუ სისხლის მიმოქცევის მოშლა. ქირურგმა ერთი ჯანმრთელი ხელით წარმატებით დაასრულა ოპერაცია ისე, რომ ჩვენ არ გავგაგებინა, შემდეგ თავად რამდენიმე თვით რეანიმაციულ განყოფილებაში მოხვდა. პაციენტი განიკურნა და გაჯანსაღებული გაეწერა საავადმყოფოდან.

მსოფლიოში საყოველთაოდ განთქმული ქირურგი კოლოლი მეორე მსოფლიო ომის დროს აქტიურად ეხმარებოდა დაჭრილებს, გადაარჩინა ათასობით განწირული ახალგაზრდა მეომარი. ერთ-ერთი ოპერაციის დროს, რომელიც დაჭრილს ავიაშიდზე უკეთებოდა, გერმანელების დაბომბვის შედეგად ქირურგმა მიიღო ქვედა კიდურის ჭრილობა, სთხოვა თანამშრომლებს, კიდურზე დაადეს დამწოლი ნახვევი და ასეთ მდგომარეობაში დაასრულა ოპერაცია, ავადმყოფი არ მიუტოვებია. მას მოკვდით ქვემო კიდური და ომის შემდეგ, წლების მანძილზე, ცალი ფეხით განაგრძობდა მოღვაწეობას დიდ ქირურგიაში.

ჩვენ უნდა ავლნიშნოთ, რომ დიდი ქირურგები არა მარტო კარგად და ნაყოფიერად ასრულებენ ურთულეს ოპერაციებს, არამედ ქმნიან სკოლებს, ამუშავებენ პირობებს და მოთხოვნებს. რომელთა გამოყენებითაც ქირურგს შეუძლია მიაღწიოს კარგ შედეგს. ეს არის ერთად ხელმოქმედება და მეცნიერული აზროვნება, ერთი მეორეს გარეშე გამორიცხებულია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირების დროს, მომეცა საშუალება, მიუკერძოებლად შემეფასებინა ჩვენი კოლეგების ტექნიკური საშუალებები და მიღწევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამედიცინო მომსახურება და კერძოდ, ქირურგია არის უზამაზარი, მძლავრი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, გამართული და დაფასებული სფერო. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ პაციენტი და პერსონალი იმყოფებიან ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს გარემოში, ხოლო მკურნალობის პროცესი დახვეწილია და აწყობილი, როგორც საათის მექანიზმი. ამიტომ მიედინებიან შეერთებულ შტატებში პაციენტები მთელი მსოფლიოდან, ხოლო ექიმები ცდილობენ, მიიღონ იქ მუშაობის უფლება. ამ პირობებში ნებისმიერი პროცედურა თუ ოპერაციული ჩარევა, თუნდაც ყველაზე მარტივი, ყალიბდება როგორც დახვეწილი პროცესი, შემოქმედება და ბევრი სხვა ქმედება გათვლილია ისე, რომ იწვევს განცვიფრებას.

ბევრი გამორჩეული ქირურგი ფლობდა მაღალ, დახვეწილ ტექნიკურ ხელოვნებას, აკადემიკოსი ვ.ი.ბურაკოვსკი, რომელმაც შექმნა ქართველ კარდიოლოგთა ბრწყინვალე სკოლა აღნიშნავს, რომ ქირურგს უნდა

ჰქონდეს „მოქნილი და კარგი ხელები, შინაგანად უნდა იყოს გაწონასწორებულ და მოძრაობა უნდა იყოს გეგმამომიერი. ჰქონდეს უნარი, ნებისმიერ სიტუაციაში აკონტროლოს და გაუკეთოს კოორდინაცია თავის ქმედებებს, კოლეგებს, უნდა იყოს მეცნიერი და ხელოვანი, ხელმოქმედი" და ბოლოს, ამატებს: "ქირურგია - ეს არის ფილოსოფია, ცხოვრების წესი და მოწოდება".

ჩვენი ქვეყნის გამორჩეული ქირურგები და მეცნიერები: გ.მუხაძე, მ.ცაცავა, მ.კომახიძე, ზ.კახიანი, გ.ტატიშვილი და ბევრი სხვა ეწინააღმდეგებოდნენ ქირურგის დახასიათების დროს ისეთი ეპითეტების გამოყენებას, როგორიცაა: „მხატვარი“, „ვირტუოზი“, „ლომი“, „გაუკაცი“

გავისხენოთ პარაცელსუსის სიტყვები იმის თაობაზე, რომ "ქირურგი, პირველ რიგში, უნდა მოქმედებდეს ჭკუით და თვალებით, ამის შემდეგ - ხელებით". გამორჩენილი მეცნიერი და ქირურგი, აკადემიკოსი გ. ტატიშვილი აღნიშნავს, რომ გრიგოლ მუხაძემ ისეთი დასტაქრები აღუზარდა ქვეყანას, რომელთა სახელებითაც იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა: ალ.წულუკიძე, მ.ცხაკაია, კ.ვეფხვაძე, ე.ფიფია, მ.ჩაჩავა, მ.მაქაცარია, დ.მამათავრიშვილი, მ.კომახიძე, კ.კვერენჩილაძე, გ.ახალაძე და მრავალი სხვა. მათ ჰქონდათ თანდაყოლილი ნიჭი, მათი ხელები და ტვინი მუშაობდა შერწყმულად, შეუცდომლად, ფაქიზად და სწრაფად. შემდგომში თავად გ.ტატიშვილმა შექმნა თავისი ქირურგიული სკოლა.

უნდა ვალიოაროთ, რომ ქირურგიაში, გარდა სხვა თვისებებისა, აუცილებელია ტექნიკა და ქირურგი უნდა ფლობდეს მას. თანდაყოლილ თვისებებთან ერთად. საჭიროა პრეტიკული უნარ-ჩვევები, დიდი შრომა, ხელების და თითების ვარჯიში, ევროპის და აშშ-ს წამყვან ქირურგიულ ცენტრებში არსებობს სპეციალურად აღჭურვილი ოთახები, სადაც ახალგაზრდა ქირურგები ყველდღიურად ვარჯიშობენ და ხვეწენ თავის ქირურგიულ უნარებს. ქირურგის ხელები და თითები ვარჯიშის შედეგად არც ერთი ზედმეტ მოძრაობას არ შეასრულებენ, პირიქით მექანიკურად შეასრულებენ თავის ტვინის ბრძანებებს და ამ მოძრაობებისათვის დაზოგავენ დროს.

ადამიანის ხელი არის მაღალი დიფერენცირების ორგანო, რომელიც შექმნა ბუნებამ რთული სამუშაო მოძრაობების შესასრულებლად, მაგრამ ხელები ასევე წარმოადგენენ ხელოვნების ნიმუშს.

სურათებზე ავადმყოფების და ექიმების გამოსახვა დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წლის წინათ. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ტროას ომის ეპიზოდი, სადაც აქილევსი ჭრილობას უხვევს პატროკლეს. განცვიფრებას იწვევს ბერძენი მხატვრის არტიდის სურათი (350 წ წ ჩვენს წელთაღრიცხვამდე): „ქალაქზე ლაშქრობის დროს დაჭრილი დედა“ და „ავადმყოფი“. ფერწერის ინტერესს ხშირად წარმოადგენდა მხატვრის და მოქანდაკის ხელები.

ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია ა.დიურერის შედეგრი "მოლოცველი ხელები" (Praying Hands, pen-and-ink drawing, 1508).

თანამედროვე ხელოვნების მცოდნე ქალბატონი ვ. ბეკეტი გამოყოფს სურათებს, სადაც ძირითად როლს თამაშობენ ხელები: ლეონარდო და ვინჩის „მადონა კლდეებში“ (1483), „ჯოკონდა“ (1503), მიქელანჯელო,

კარავაჯოს "წმინდა თომა", ლუის მორალესის "მოწყენილი ღვთისმშობელი" (1570) და სხვ.

სურათებს, სადაც გამოსახულია ხელები, როგორც ექიმის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, შეგვიძლია მივაკუთვნოთ: კვენტინ მასეისის "პარაცელსუსი" (1517), ვინსენტ ვან გოგის „ექიმ გაშეს პორტრეტი“ (1890), ჰენრი გერვექსის „ოპერაციის წინ, ან ექიმი პეანიასწავლის სენტ-ლუისის ჰოსპიტალში“ (1887), მ. ნესტეროვის „ს. ს იუდინის პორტრეტი“ (1935) და სხვ.

ქირურგის პროფესია საოცრად რთული და სპეციფიკურია. იგი მოითხოვს დიდ ჰუმანურობას და გულისხმიერებას არა მხოლოდ საქმით, მისი სიტყვაც მალამოდ უნდა დაედოს ავადმყოფს.

ქირურგს ბევრი მოვალეობა აკისრია. მას მოვალეობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე უფლებები, ამიტომ ქირურგიაში მუშაობის მსურველი ახალგაზრდების რიცხვმა იკლო. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოების დამოკიდებულება შეიცვალა. ეს უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდების ენთუზიზმზე, მისწრაფებაზე სამართლიანობისკენ, პატიოსნებისკენ, სურვილზე, ხელი შეუწყოს სამყაროს ყოველნაირ გაჯანსაღებას, რაც მედიცინაში საერთოდ და, კერძოდ - ქირურგიაში უდიდესი ძალაა. ამიტომ, მივმართავ ახალგაზრდებს, რომლებიც პროფესიას ირჩევენ, თუ ავადმყოფის თანაგრძნობა არ გაქვთ, არ იმუშაოთ ქირურგიაში და თუ მუშაობას ისუვებთ, აქ ყოველთვის შეგიძლიათ ხორცი შეასხათ სიკეთისა და სიმართლისადმი მისწრაფებას, ბუნების ფანტასტიკურ ჩანაფიქრს - ადამიანის განკურნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქირურგის ცხოვრებაც და შრომაც მძიმეა და ნარ-ეკლით არის მოფენილი, მაინც არცერთ პროფესიას იმდენი სულიერი კმყოფილების მოტანა არ შეუძლია, როგორც მას. რა შეედრება სიკვდილთან ორთაბრძოლაში მოპოვებული გამარჯ-

ვებით ბედნიერების განცდას. ჭეშმარიტი ქირურგი შეიძლება გახდეს მხოლოდ კეთილშობილი და კეთილი გულის ადამიანი, ხელმძღვანელობდეს ერთი პრინციპით: პროფესიული გზა უნდა განვლოს ისე, რომ ღმერთის და უკან მოხედვის არ შეგრცხვებს. მართალია, ყველას ვერ გადაარჩენ, გარდაუვალს ვერ გაექცევი და დაუძლეველს ვერ დაძლე, მაგრამ უნდა იბრძოლო, არასოდეს დანებდე და ამ ბრძოლაში მაქსიმალურად დაიხარჯო.

რაც შეეხება ქირურგის შეცდომებს, ისინი ყველას მოსდის, არავინ არის უშეცდომო და უცოდველი, უბრალოდ, მუდამ უნდა იყო სიკეთისკენ მიდრეკილი და არ უპასუხო ბოროტებას ბოროტებით. უნდა გიყვარდეს ადამიანი, ავადმყოფი, ჩვენ ხალხი და ჩვენი ქვეყანა და მიაგო პატივი ჩვენი კოლეგების და წინაპართა ხსოვნას.

35 წელი გავატარე ხალხის სამსახურში, ათასობით პაციენტი გადარჩა და დაუბრუნდა ოჯახს, საყვარელ საქმეს. არ მავიწყდება ავადმყოფები. რომლებიც ვერ გადარჩნენ და მუდამ თვალწინ მიდგანან. მიუხედავად ამისა. ერთხელაც არ გავჩერებულვარ, ხელები არ ჩამომიშვია, იმიტომ, რომ ქირურგის გაჩერება მისი სიკვდილის ტოლფასია.

კვლევის და მკურნალობის ბევრი რთული ქირურგიული მეთოდი სახიფათოა, მათ შემუშავებაში და განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ცნობილმა მეცნიერებმა და ქირურგებმა, რომელთაც თავგანწირვის შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს მედიცინის ისტორიაში. მრავალმა ექიმმა-ექსპერიმენტატორმა ახალი მეთოდები საკუთარ თავზე გამოსცადეს და დაამტკიცეს მათი ეფექტურობა.

ისტორიის გაკვეთილები გვასწავლის, ჩვენმა თაობამ უნდა იბრუნოს იმისათვის, რომ შვილებმა უკეთეს საქართველოში იცხოვრონ, ერი არ დადგეს საფრთხეების და განსაცდელის წინაშე.

# ღვიძლის ღიდი და გიგანტური ექინოკოკური კისტის მკურნალობის შესახებ

ბუჭა არჩვაძე, გიორგი საბაშვილი, ილია ჭანუყვაძე, დავით ჯიქია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ზოგადი ქირურგიის დეპარტამენტი

პასუხისმგებელი პირი: გიორგი საბაშვილი, g.sabashvili1@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2022.10.58-60>

**რეზიუმე** ავტორების მიერ შემოთავაზებული და კლინიკაშია დანერგულია ღვიძლის ღიდი და გიგანტური ექინოკოკოზის კისტის მკურნალობის მეთოდი, რომლის არსიც მდგომარეობს ექინოკოკოზის ღვიძლიდან ამოღების შემდეგ კისტის ღრუს შევსებით, ადგილობრივი ქსოვილებისგან შექმნილი ორი ძირითადი ნაფლეთით. ოპერაცია ჩატარდა 20 ავადმყოფს ღიდი და გიგანტური ექინოკოკოზის კისტის დიაგნოზით. ოპერაციის შემდგომ პერიოდში შესწავლილ იქნა კისტის „ნარჩენი ღრუს“ შევსების რეპარაციული პროცესების მიმდინარეობის დინამიკა კისტის ღრუში ჩაყენებული დრენაჟებიდან გამონადენის მიხედვით. დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდით ნაოპერაციები ავადმყოფების რეაბილიტაციის პერიოდი ძირითადად მიმდინარეობს გართულების გარეშე, რაც იძლევა მათი სავადმყოფოდან გაწერის საშუალებას რ დღის განმავლობაში, ხოლო მკურნალობის პროცესის დასრულება კი არ აღემატება სამ კვირას. მეთოდი გამოირჩევა მინიმალური გართულებებით. ლეტალური შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

საკვანძო სიტყვები: ღვიძლის ექინოკოკოზი, გიგანტური ექინოკოკური კისტა

ღვიძლის ექინოკოკოზი საკმაოდ გავრცელებული პარაზიტული დაავადებაა [1, 2], რომლის დიაგნოსტიკა დაავადების ადრეულ სტადიაზე გართულებულია მისი უსიმპტომო მიმდინარეობის გამო [5, 6]. ამით აიხსნება ღიდი კისტების განვითარების შემთხვევები. არსებობს ექინოკოკური კისტის მკურნალობის ორი ძირითადი მეთოდი – ღია და დახურული. პირველი მათგანი გამოირჩევა რეციდივების განვითარების სიხშირით, მეორე კი გართულებათა მაღალი მაჩვენებლებით, რაც ზღუდავს მის ფართო გამოყენებას [3, 4, 7]. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ღვიძლის ექინოკოკური კისტის მკურნალობასთან დაკავშირებით ქირურგები განსხვავებული აზრისანი არიან, როგორც ტაქტიკური, ასევე ტექნიკური მიდგომის მხრივ, თუმცა არჩევით მეთოდად მაინც რჩება ორგანოს დამზოგავი ოპერაცია: ექინოკოკექტომია და კისტის „ნარჩენი ღრუს“ შემციობა.

## მიჯანი


ჩვენ მიზნად დავისახეთ, ექინოკოკექტომიის წარმოების შემდეგ კისტის „ნარჩენი ღრუს“ შევსება საკუთარი ქსოვილების ხარჯზე.

## კვლევის მასალა და მეთოდი


კვლევის მასალა მოიცავს ორივე სქესის 20 ავადმყოფის დაავადების ისტორიას, რომლებსაც ოპერაცია გაუკეთდათ ღიდი და გიგანტური ექინოკოკური კისტის გამო. გამოკვლეული ავადმყოფების ასაკი იყო 15-დან 80 წლამდე. ყოველ ავადმყოფს, კლინიკო-ლაბორატორიული კვლევების გარდა, ჩატარდათ ექოსკოპიური და კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევები. კისტები განლაგებული იყო ძირითადად მარჯვენა წილში, ერთი შემთხვევის გარდა, როდესაც გიგანტური კისტა მოიცავდა მთლიანად ღვიძლის მარცხენა წილის ყველა სეგმენტს.

კისტის მოცულობის შეფასებისას ჩვენ ვიყენებდით ორ კრიტერიუმს: 1. კისტის ორმხრივ განზომილებას და 2. მასში არსებული შიგთავსის რაოდენობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ღიდი კისტის დიამეტრი დაახლოებით 13-15სმ-ია და მისი შიგთავსი 1000-1200მლ-მდე. რაც შეეხება გიგანტურ კისტას, მისი დიამეტრი იქნება 15 სმ-ზე მეტი და შიგთავსი - 1200მლ-ზე მეტი.


ღვიძლის მობილიზების შემდეგ წარმოებს კისტის პუნქცია, შიგთავსის ევაკუირება, კისტის გაკვეთა და მისგან ქიტინის გარსის ამოღება. ქიტინის გარსის ამოღების შემდეგ ვახდენთ კისტის ღრუს სანაცის და ფიბროზული გარსის თერმულ დამუშავებას ელექტრო-



სურათი 1. კისტის წინა კედელზე დადებული ორი სწორი დამჭერი



სურათი 2. ნაფლეთებით წარმოქმნილი ორი ხვეული



სურათი 3. ნაფლეთები ერთმანეთს უკავშირდება კეტგუტის წყვეტილი ნაკერით

კოაგულატორით. მომდევნო ეტაპზე ხდება კისტის ღრუს ამოსუფთავება და კედლების გლიცერინის 80%-იანი ხსნარით დამუშავება. კისტის ღრუს სათანადო დამუშავების შემდეგ იწყება ოპერაციის მეორე ეტაპი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: კისტის წინა კედელზე დიაფრაგმის მიმართულებით ედება ორი სწორი დამჭერი (ნახ.1), რომელთა შორის ელექტროდანიტ წარმოებს კისტის წინა კედლის გაკვეთა. კედლის გაკვეთის შემდეგ წარმოიქმნება ორი ნაფლეთი. იმისათვის, რომ ეს ნაფლეთები გავხადოთ მოძრავი, აუცილებელია დამჭერის მწვერვალებიდან მარჯვნივ და მარცხნივ განივი მიმართულებით დამატებითი განაკვეთების გატარება ელექტროდანიტ. ოპერაციის შემდეგი ეტაპის დაწყებამდე, ნაფლეთის კიდეებთან დამჭერების პარალელურად კეტგუტის ძაფით ფიქსირდება 5.0მმ-იანი დიამეტრის პოლიეთილენის დრენაჟები ნახვრეტებით. გარდა ამისა, კისტის ღრუში ნაფლეთებს შორის თავსდება მესამე შუალედური დრენაჟი. დრენაჟების დაფიქსირების შემდეგ მარჯვენა ნაფლეთის კიდეზე დადებულ დამჭერს ვატრიალებთ საათის ისრის მიმართულებით, ხოლო მარცხენას - საწინააღმდეგო მიმართულებით, მათი მოძრაობა კი ერთმანეთისკენ არის მიმართული. დამჭერის მოძრაობით ხორციელდება

ნაფლეთების დახვევა დამჭერების ირგვლივ. ამგვარი მოძრაობით წარმოიქმნება ორი ხვეული. როდესაც დამჭერები შეწყვეტენ მოძრაობას, ხვეულების შექმნა დამთავრებულია (ნახ. 2). ხვეულების შექმნისთვის საჭიროა ნაფლეთის ზოგჯერ 180 გრადუსით, ზოგჯერ 360 გრადუსით დახვევა. როდესაც ნაფლეთების დახვევა დასრულდება, დამჭერების ურთიერთმიახლოებით კისტის ღრუ ამოივსება, რის შემდეგაც ნაფლეთები ერთმანეთს უკავშირდება კეტგუტის წყვეტილი ნაკერით (ნახ. 3) კისტის ღრუს დახურვის პლასტიკური ეტაპის დასრულება დამჭერების კისტის ღრუდან გამოდრობით და სამივე დრენაჟის გარეთ კანზე გამოტანით და დაფიქსირებით.

**მიღებული შედეგები და მათი განსჯა**

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აღნიშნული მეთოდით ოპერაცია ჩაუტარდა 20 ავადმყოფს. ჩვენს მიერ შესწავლილი იყო კისტის ღრუში რეპარაციული პროცესების მიმდინარეობის დინამიკა, ღრუში ჩაყენებული სამივე დრენაჟიდან გამონადენის რაოდენობის მიხედვით.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დრენაჟებიდან გამონადენის რაოდენობა კავშირშია კისტის ღრუს მოცულობასთან, განსაკუთრებით 1-3 დღის განმავლობაში, რაც

ცხრილი 1: ოპერაციის შემდგომ პერიოდში ღრენაჟებიდან გამონადენის შემცირების დინამიკა დრენების მიხედვით

№	ავადმყოფების რაოდენობა	კისტის ღრუს მოცულობა	ღრუდან გამონადენი სითხის რაოდენობა დინამიკაში (მლ)					
			I დღე	II დღე	III დღე	IV დღე	V დღე	VI დღე გაწერის წინ
1	1	25X20	400	300	250	200	120	70
2	4	22X20	400-300	350-250	260-200	180-120	100-80	50
3	6	20X18	350-300	320-280	200-180	180-100	100-70	60
4	5	18X16	300-300	360-240	180-170	170-100	100-70	50
5	2	15X15	280-270	260-220	270-100	160-80	100-50	40
6	2	14X13	280-260	280-200	250-150	150-120	90-80	40

ნაკლებად შეიმჩნევა მე-5-6 დღეს (ცხრილი 1). ყოველივე ეს კი კავშირშია ნაფლეთებს შორის რეპარაციული პროცესების გააქტიურებასთან. ზოგადად დრენაჟებიდან გამონადენის შემცირების ტენდენცია სახეზეა ყველა შემთხვევაში.

ოპერაციის შემდგომი პერიოდი ძირითადად მიმდინარეობდა მშვიდად, ორ ავადმყოფს განუვითარდა მარჯვენამხრივი ექსუდაციური პლევრიტი, რაც კავშირში იყო ღიაფრავის ტრავმასთან კისტის მობილიზების დროს. ამ ავადმყოფებს ჩაუტარდათ სათანადო სიმპტომური მკურნალობა და მე-10 დღეს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერნენ კლინიკიდან. დანარჩენი ავადმყოფების საწოლზე დაყოვნებამ შეადგინა 6 დღე. გაწერის შემდეგ ავადმყოფები განაგრძობდნენ ამბულატორიულ მკურნალობას მანამ, სანამ ღვიძლიდან არ იქნა

ამოღებული სამივე დღენაჟი. მიმდინარეობს გაწერილი ავადმყოფების შორეული შედეგების შესწავლა.

## დასკვნა

1. ღვიძლის დიდი და გიგანტური ექინოკოკოზის კისტის არსებობა არ წარმოადგენს იშვიათობას და გამოწვეულია დაავადების, ხშირ შემთხვევაში, უსიმპტომო მიმდინარეობით.

2. ღვიძლის დიდი და გიგანტური კისტის მკურნალობის ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი არსებულთაგან სრულიად განსხვავებული და ნაკლებად ტრავმულია.

3. როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, ოპერაციის გამოყენებით შესაძლებელია გართულებების და რეაბილიტაციის პერიოდის მკვეთრი შემცირება.

## ლიტერატურა:

### References:

1. Абдулаев А.Г. Мовчун А.А. Агаев Р.М. Хирургическая тактика при эхинококкозе печени с поражением желчных протоков. *Хирургия* 2005. 2.38-42.
2. Ахедов И.Г. Резидуальные фиброзные образования после эхинококтомии и их клиническое значение. *Вести хир.* 2006. 1656 27-33.
3. Заривчакский М.Ф. Пирожников О.Ю. Гаврилов О.В. Мугатаров И.Н. Принципы лечения непаразитарных кист печени // *Вестн. хир.* 2006. №4. с.31-33.
4. Мусаев А.С. Фатякова А.С. и др. Возможности хирургического лечения рецидивного эхинококкоза. *Хирургия* 2015. № 6 ст. 77-79.
5. Allas M., Arac M. Serarsion Y. et all. Medical treatment multiple cerebral hydatid cyst disease // *J. Neurosurg sci* 2010; 54; 2; 79-82.
6. Reyes M.M. Taramona C. Saure-Mendosam et all. Disease awareness and knowledge in caregivers of children who had Surgery for cystic hydatid diseas in Lima Peru// *Тrop int health* 2010; 75,12; 1532-1536.
7. Paghet K.J. Ruppert W. Konsouris P. Sichere erweiterer rachteseitige Hemihepatectomie durch anatomische preparation kontrollierte hypotension and kompression des wigaretum hepatoduodenall. *chirurg* 1984; 55:9:579-583.

## THE TREATMENT OF LARGE AND GIANT HEPATIC HYDATIDS

[Bucha Archvadze], Giorgi Sabashvili, Ilia Chanukvadze, David Jikia

Department of General Surgery of Tbilisi State Medical University

Contact person: Giorgi Sabashvili, g.sabashvili1@gmail.com

DOI: <https://doi.org/10.48412/GTBGS.2021.09.58-60>

### Resume

The authors have proposed and adopted in clinic a method of treatment of large and giant hydatid cysts of the liver. After dissection of the cyst the method provides for filling-up of the cyst cavity with two major flaps created from the adjacent tissues. The method has been used in 20 cases with the patients diagnosed with large and giant hydatid cysts of the liver. In the postoperative period the dynamics of regeneration processes after the filling of the residual cyst cavity were studied according to the discharge from the drains inserted in the cyst cavity. The observations have shown that period of rehabilitation of the patients operated with the mentioned method was generally going on without complications, allowing discharge of patients from hospital within 6 days, while the process of outpatient follow-up care didn't exceed three weeks. The method is distinguished by minimum number of complications and not a single case of lethality.

**Key words:** Hepatic echinococcosis, giant echinococcal cyst

# მოგონება

## ეკატერინე ამირბეგოვა

ღვაწლმოსილი მედიკოსი



საქართველოს ორთოპედ-ტრავმატოლოგთა საზოგადოება ძლიერ დაამწუხრა მისი მხცოვანი, თვალსაჩინო წარმომადგენლის, ქვეყანაში ძვალ-სახსართა ქირურგიის ალორძინების პერიოდის ერთ-ერთი სულისჩამდგმელისა და ქტიტორის, ქალბატონ ეკატერინე ამირბეგოვას გარდაცვალებამ. მიუხედავად მისი მორჭმული ასაკისა, უზარმაზარი გულისტიკვილია, როდესაც ამ ქვეყნიდან მიდიან მისებრი ადამიანები, რომლებიც, პირდაპირი

მნიშვნელობით, წარმოადგენდნენ მედიცინის ამ დარგის ისტორიას.

ქალბატონი ეკატერინე ამირბეგოვა დაიბადა 1921 წელს, თბილისის ძველ უბანში. დაწყებითი განათლება მიიღო რკინიგზის IV სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1938 წელს, ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1941 წელს დაწყებული სამამულო ომის გამო 1942 წელს ვადაზე ადრე დაამთავრა ინსტიტუტი და საკუთარი ინიციატივით დაიწყო მუშაობა თბილისის სამხედრო საევაკუაციო ჰოსპიტალში, ექიმად. მან აქვე აირჩია სამომავლოდ ექიმისათვის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და რთული დარგი მედიცინაში - ქირურგია.

ახალგაზრდა ექიმის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, უამრავი დაჭრილი და დასახიჩრებული ჯარისკაცი დაუბრუნდა ფრონტს, მისი უანგარო მზრუნველობისა და მკურნალობის დასაფასებლად, ომის დამთავრების შემდეგაც კი, მაშინდელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ საქართველოში ყოფილი მეზობლები დასტაქარისათვის მადლობის სათქმელად. სახელმწიფოებრივ დონეზე კი, მისი ღვაწლი დაფასდა მრავალი მედალითა და ორდენით. 1946 წლიდან მუშაობა განაგრძო სამხედრო ჰოსპიტლის ბაზაზე დაარსებული ტრავმატოლოგიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, ექიმ ორდინატორად, სადაც მოღვაწეობდა 1975 წლამდე. მას შემდეგ კი, ბატონ მერაბ მაჭავარიანთან ერთად დააფუძნა ბავშვთა ტრავმატოლოგიური განყოფილება, რომელსაც თვითონვე წარმატებით ხელმძღვანელობდა



სურათი 1. ქალბატონი ეკატერინე და მადლიერი პატარა პაციენტი

ათწლეულების მანძილზე. იშვიათად არგუნებს ცხოვრება ექიმს ისეთ პროფესიულ აქტივობასა და ხანგრძლივ ნაყოფიერი მოღვაწეობის შესაძლებლობას, როგორც ჰქონდა ქალბატონ ეკატერინეს, თითქმის 90 წლის ასაკამდე.

მის აქტივში არამარტო ათასობით გადარჩენილი სიცოცხლეა, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, მუხლჩაუხრელი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შედეგია მისი აღზრდილი ქართველი ორთოპედ-ტრავმატოლოგების მრავალი თაობა

იმ უამრავ ვილდოთა შორის, რომლითაც დაფასებული იყო ქალბატონი ეკატერინეს შრომა, განსაკუთრებულია ღირსების ორდენი.

ქალბატონ ეკატერინეს დაცული ჰქონდა სამეცნიერო დისერტაცია, გახლდათ 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

რაოდენ ძნელიც და მოუცლელი არ უნდა ყოფილიყო ცნობილი ქალი ქირურგისთვის ყოველდღიური ცხოვრება, მან შექმნა არაჩვეულებრივი ოჯახი, აღზარდა ღირსეული შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები.

იგი განერიდა წუთისოფელს 100 წლის ასაკში, თუმცა ბოლომდე შეინარჩუნა ნათელი გონება, სალი აზროვნება და განსჯის უნარი. უკეთესი სამყაროსაკენ მას მიაცილებდა მადლიერ ადამიანთა გულწრფელი ცრემლები. იშვიათად არგუნებს განგება ადამიანს, ასეთ ხანგრძლივ და ნაყოფიერ ცხოვრებას. ქალბატონი ეკატერინე ჰუმანურობის, პატრიოტიზმის, პროფესიონალიზმის და ბოლოს, სამშობლოს წინაშე ვალმობდილობის ნათელი მაგალითია.

ნათელი ქალბატონი ეკატერინე ამირბეგოვას ხსოვნას, რომლის სახელი დაუფიწყარი იქნება ქართულ ძვალ-სახსართა ქირურგიის ისტორიაში.



სურათი 2. ქალბატონი ეკატერინე და მისი კოლეგები შეხვევაზე

## ავტორის სამასს(ო)პრო

ჟურნალ „გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნეში“ სტატიის წარმოდგენის წესები:

1. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი სახით, ორ ეგზემპლარად, ქართულ (ინგლისურ ან რუსულ) ენაზე და მას უნდა ახლდეს სტატიის ელექტრონული ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD, DVD, ფლეშ მენჯიერება).
2. წარმოდგენილი სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 7 გვერდზე ნაკლები და 20 გვერდზე მეტი ცხრილების, დიაგრამების, საილუსტრაციო მასალის, ლიტერატურის სიის და რეზიუმეების (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ჩათვლით.
3. ნაბეჭდი ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს სტანდარტული ფურცლის (A4) ერთ გვერდზე, 2,5 სმ სიგანის მარცხენა, 2-2სმ ზედა და ქვედა და 1,5სმ მარჯვენა ველების დაცვით. სტრიქონებს შორის ინტერვალი 1,5.
4. სტატია აკრეფილი უნდა იყოს MS Word-ში Sylfaen უნიკოდ შრიფტით, როგორც ქართული ძირითადი ტექსტი, ისე ქართული და ინგლისური რეზიუმე. შრიფტის ზომა უნდა იყოს 11.
5. კვლევითი ხასიათის სტატია უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს: საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი მასალა და გამოყენებული მეთოდები, მიღებული შედეგები და მათი განსჯა.
  - შემთხვევის აღწერისას: საკითხის ზოგადი მიმოხილვა, საკუთრივ შემთხვევის აღწერა, განსჯა და დასკვნები.
6. ექსპერიმენტული კვლევების შედეგების წარმოდგენისას, აუცილებელია, მიეთითოს და აღიწეროს საექსპერიმენტო ცხოველების სახეობა და რაოდენობა, გაუჭიკვარების ტიპი.
7. ქართულენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. უცხოენოვანი სტატიის შემთხვევაში - მხოლოდ ინგლისურ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 130 და არაუმეტეს 250 სიტყვა. აუცილებელია, ინგლისურენოვან რეზიუმეს ახლდეს: სათაური, ავტორების გვარები, ინიციალები, წარმოდგენი დაწესებულების ან ავტორთა სამუშაო დაწესებულებების მითითებით (რამდენიმე ავტორის შემთხვევაში საჭიროა მინიშნება ციფრით). რეზიუმე უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს (რომლებიც გამოყოფილი იქნება ტექსტში): მიზანი, მასალა და მეთოდები, შედეგები და დასკვნები; საკვანძო სიტყვები.
8. სტატიის ილუსტრირების წესები:
  - ცხრილები წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული სახით (და არა რომელიმე გამოსახულების ფორმატით – მაგ., jpeg, tiff, pdf). ცხრილი აწყობილი უნდა იყოს MS Word-ის ან MS Excell-ის ფორმატში, შეიძლება ჩართული იყოს ტექსტში ან წარმოდგენილი იყოს ცალკე ფაილის სახით, ამ შემთხვევაში ფაილს უნდა ერქვას სახელი: ცხრილი №; ყველა ციფრული, შემავჯამებელი და პროცენტული მონაცემი უნდა შეესაბამებოდეს ტექსტში მოყვანილს.
  - დიაგრამები უნდა იყოს დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. დიაგრამები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც MS Word-ის ან MS Excell-ის ფორმატში, ისე jpeg, tiff, pdf ფორმატებში. დიაგრამების წარწერები შესრულებული უნდა იყოს სტატიის ენაზე.
  - ფოტოსურათები, სურათები, ნახაზები უნდა იყოს წარმოდგენილი კონტრასტული ფაილის სახით, jpeg, tiff, pdf ფორმატში, დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. ამოსხნის ხარისხი არანაკლებ 200dpi.
  - რენტგენოგრაფიების ფოტოასლები წარმოადგინეთ პოზიტიური გამოსახულებით jpeg, tiff, pdf ფორმატში, დასათაურებული, დანომრილი და ტექსტში შესაბამის ადგილზე მითითებული. გამოსახულების ხარისხი არანაკლებ 200dpi.
  - მიკროფოტოსურათების წარწერებში საჭიროა მიუთითოთ ოკულარის ან ობიექტივის საშუალებით გადიდების ხარისხი, ანათლების შედეგის ან იმპრეგნაციის მეთოდი და აღნიშნოთ სურათის ზედა და ქვედა ნაწილები.
9. ავტორების გვარები სტატიაში აღინიშნება ინიციალების დართვით, უცხოელ ავტორთა გვარები – უცხოური ტრანსკრიპციით, ინიციალების დართვით.
10. სტატიას თან უნდა ახლდეს ავტორის მიერ გამოყენებული სამამულო და უცხოური შრომების ბიბლიოგრაფიული სია (ბოლო 5-8 წლის სიღრმით).
  - ბიბლიოგრაფიული სია დალაგებული უნდა იყოს ანბანური წყობით;
  - მიეთითება ჯერ სამამულო, შემდეგ უცხოელი ავტორები (გვარი, ინიციალები, სტატიის სათაური, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის №, პირველი და ბოლო გვერდები). მაგალითი:  
 ქართული ვარიანტი: *ჭილაძე ბ, ლომიძე ნ, ნიორაძე მ, სიდელნიკოვი ა, ტრეკოვი ი. ჩერენკოვის ეფექტის გამოყენება ბირთვული ენერგეტიკის უსაფრთხოების ასამაღლებლად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. 2012;6(2):67-73.*  
 ინგლისური ვარიანტი: *Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005;10(2):49-53.*
  - მონოგრაფიის შემთხვევაში მიუთითეთ გამოცემის წელი, ადგილი და გვერდების საერთო რაოდენობა.
  - ტექსტში მრგვალ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ავტორის შესაბამისი №, ლიტერატურის სიის მიხედვით.
11. რედაქცია იტოვებს უფლებას შეასწოროს სტატია. ტექსტზე მუშაობა და შეჯერება ხდება საავტორო ორიგინალის მიხედვით.
12. დაუშვებელია რედაქციაში ისეთი სტატიის წარდგენა, რომელიც გამოქვეყნებული იყო სხვა გამოცემებში.
13. აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში სტატიები არ განიხილება.

„გურამ ტატიშვილის საქართველოს ქირურგიის მაცნე“ რედაქცია

## AUTHOR'S COMMEMORATIVE

The rules of submitting an article to the journal "Guram Tatishvili Bulletin of Georgia Surgery":

1. An article shall be submitted in printed form, two copies, in the Georgian (English or Russian) language together with an e-version of an article on electronic media (CD, DVD, flash memory).
2. Printed version shall be on one page of a standard sheet of paper (A4), by maintaining 2,5 cm left field width, 2-2 cm upper and bottom fields and 1,5 cm right field width. Space between lines 1,5.
3. An article shall be typed in MS Word by Sylfaen Unicode font, both Georgian main text and Georgian and English reviews. Font size shall be 11.
4. Submitted material volume shall not be less than 7 pages and more than 20 pages including tables, diagrams, illustrating material, reference list and reviews (in the Georgian and English languages).
5. A research article shall include the following sections: urgency of the research, research objective, research material and applied methods, obtained results and their discussion.
6. When submitting results of experimental researches, it is mandatory to point out and describe types of experimental animals and quantity; methods of anaesthesia (in conditions of acute experiments).
7. An article in Georgian language shall be enclosed with review in the Georgian and English languages. In case of an article in foreign language – only in the English language. Volume of a review shall not be less than 130 and not more than 250 words. In the English review, it is mandatory to mention: title, authors' surnames with initials, representing institution or work institutions of authors (an author's connection with an institution in case of several authors or institutions shall be interpreted by figure). A review shall include the following sections (highlighted in text): objective, material and methods, results and conclusions; key words.
8. Rules of illustrating an article:
  - Tables shall be submitted in printed and e-form (and not in any of an image formats – e.g. jpg, tiff, pdf). A table shall be drawn up in MS Word or MS Excel formats, can be inserted in text or submitted as a separate file, in this case the file shall be named: table p...; all digital, summing and percentage data shall correspond with the ones mentioned in text.
  - Diagrams shall be titled, numbered and pointed out in corresponding place in text. Diagrams can be submitted both in MS Word or MS Excel formats, as well as in jpg, tiff, pdf formats. Diagram inscriptions shall be made in the Georgian language.
  - Photographs, pictures, drawings shall be submitted as contrast file, in jpg, tiff, pdf formats. Resolution degree not less than 200dpi.
  - Photocopies shall be submitted with positive image in jpg, tiff, pdf format, titled, numbered and pointed out in the corresponding place in text. Resolution degree not less than 200dpi.
  - In inscriptions of microphotographies, it is necessary to point out zooming degree by eyepiece or lens, dying or impregnation method of slices and note upper and lower parts of an image.
9. Authors' surnames in an article are mentioned by enclosing initials.
10. An article shall be enclosed with bibliographic list of used works (with depth of 5-8 years).
  - Bibliographic list shall be sorted by alphabetic order;
  - Authors (surname, initials, title of an article, journal name, year, journal p, the first and the last pages) are pointed out. **Example:** Author AA, Author BB, Author CC. Title of article. Title of Journal. 2005;10(2):49-53.
  - In case of monography point out publishing year, place an total quantity of pages.
  - In text, in round brackets shall be pointed out an author's corresponding p, according the reference list.
11. The editorial team keep the right to correct an article. Working on text and summing is done in accordance with the copyright original.
12. It is not allowed to submit an article published in other publications.
13. In case of violating the mentioned rules, articles are not reviewed.

*Editorial team of "Guram Tatishvili Bulletin of Georgia Surgery"*